სახალხო გაზეთი

№ 660 პარასკევი, 27 ივლისი, 1912 წ. № 660

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აცხადებს, რომ 25 ივლისს, ქალ. სამარაში, გარდაიცვალა „საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი

პროფ. ალექსანდრე ს. ხახანაშვილი.

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 27 ივლისს, საღამოს 7 ნახ. საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. (1.1404.1)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აცნობებს საზოგადოების წევრებს, რომ დღეს, 27 ივლისს, 7 ნახ. საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საზოგადოების წევრის პროფესორის

ალექსანდრე ხახანაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1.1405.1)

ელენე სოლომონის ასული და ლევან (კოტე) სოლომონის ძე გვარამაძენი შვილებითურთ **ნიკო, ნინო, ლეო და ელენე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. სამარაში გარდაიცვალა პირველისა ძმა, მეორესი ცოლის ძმა და დანარჩენთა ბიძა, პროფესორი

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი

პანაშვიდი დანიშნულია ქვაშვეთის ეკლესიაში დღეს, 27 ივლისს, საღამოს 7½ საათზე დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (0—18—1).

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დბგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ციქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ-რო ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო. ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმ. ფსიქ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი შ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შესავათიანი საფასურით. (წ. 1010.79)

ჯაიებზე დამყარებულ ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი"-ს,

გამგეობა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამხანაგობის წესდება უმაღლესად დამტკიცებულია 1912 წ. 10 ივნისს, **ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება ამა წლის 1 ივლისიდან და ძირითად თანხად 1,200,000 მანეთი აქვს.**

ამხანაგობის გამგეობა იმყოფება **ქ. კავკავში.** გამგეობის დირექტორებად ამორჩეულნი არიან:

სერგეი მარკის ძე კირაკოზოვი, ივანე გოლდანის ძე ოგანოვი, გრიგორი გოლდანის ძე ოგანოვი და ივანე ილიას ძე ვაცილოვი.

ამხანაგობა აწარმოებს ნარდად (Оптомъ) და წვრილ ვაჭრობას ფართლეულისას.

I. **ნარდზე სავაჭრო საწყობებია:**
კავკავში, გროზნაში, გეორგიევსკში, ტფილისში, ქუთაისში, გეორგიევსკისა და გროზნის ბაზრობაზე.

II. **წვრილად ვაჭრობა არის:**
კავკავში, გეორგიევსკში, პიატიგორსკში, ტფილისში, ქუთაისში, სტანიცა არდონში და სოფ. პროხლადნაია კოვეისკში.

(10.559.8)

ახალი კლუბი

პარასკევს, 27 ივლისს,

საღამოს 8 საათზე, კლუბის სადარბაზო ოთახში, დანიშნულია

მეორე საგანგებო საერთო

კლუბის წევრთა კრება.

(2.1392.2)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ყალამშიისა (ბორჩალოს მაზრაშია) და **ატენის** (გორის მაზრაშია) **სკოლებისათვის საჭიროა**

გამოცდილი მასწავლებელი.

მასწავლებლის ჯამაგირი თვეში 30 მან.; გარდა ამისა მიეცემა ბინა, შეშა და მოსამსახურე. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს წ. კ. საზოგადოების სახელზე ტფილისში 10 აგვისტომდე. (3.1397.3)

გამართულია **ხელის მოწერა**

მღ. მ. კელენჯერიძის ახალ თხზულებაზე:

„გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა",

(მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)

ტომი I.

ფასი წინდაწინ ხელის-მომწერთათვის 60 კ. (25.1402.1)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყოროღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისათვის იწვევს

ორს მასწავლებელს,

რომელთაგან თვითეულს მიეცემა ჯამაგირად წელიწადში 1008 მან. მსურველებმა თხოვნით უნდა მიმართონ სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ჭიათურაში 1912 წლის **20 აგვისტომდე.** (3.1403.1)

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა"**, დრამა 4 მოქმედებ.

ფასი 30 კაპ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი გალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 348)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ჭთობოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606"

(წლ—1018—41).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ № 182. (თ. 1037 257)

ექიმი გ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67. სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—131)

ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.213)

ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—29)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში. 8—9 საათამდე.**

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, სცგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. (0—550—13)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.163)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—70)

ექიმი ნ. ტ. მულინი

ყურისა, ცხვირისა და ყელით ავადმყოფ.

გადავიდა

ვერის დაღმართზე, № 3. სახ. ოსიპოვისა. (3—570—2)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა. (უ)

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** ქალაქის საბჭოს სასტატისტიკო ბიურომ გუშინდლამდე სამსახურის ცენზის ძიხედვით საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—2,510 კაცი, ხოლო საერთო—1923.

— იმ ამომრჩეველთა სიებში, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ბინის გადასახადისა და სავაჭრო-სამრეწველო გადასახადის ცენზით, გუშინ ცვლილება არ მომხდარა.

— გუშინდლამდე ქალაქის გამგეობაში განცხადებანი შეიტანეს და საარჩევნო სიებში ჩაწერა ითხოვეს: 66 ბინის დამქირავებელმა, რომელნიც ბინის სახელმწიფო გადასახადს არ იხდის, 9—პენსიონერმა. და 3—სხვის რწმუნებით.

— გუშინ სასტატისტიკო ბიურომ საარჩევნო სიებიდან ამოშალა უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომნი, სამხედრო პირნი და ქუშები, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ.

— გუშინ ტფ. მაზრის უფროსმა ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა ტფ. მაზრის იმ მემამულეთა სია, რომელთაც უფლება აქვთ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ რუსთა კურიიდან. სიაში ჩაწერილია 553 კაცი.

— კავკ. ნამესტნიკის ცირკულიარის მიხედვით ქალაქის მოურავს წინადადება ეძლევა, რაც შეიძლება გაავრცელოს რუსთა მცხოვრებში, რომ მათ ერთი წარმომადგენლის არჩევის უფლება აქვთ და არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ ცალკე, რუსთა კურიაში. ამიტომ ტფ. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, რომ წინა წლების არჩევნების მაგალითისამებრ, გარდა ადგილობრივ გაზეთებში განცხადებების მოთავსებისა, რაც შეიძლება

მოკლე ხანში გააკრან განცხადებები ქალაქის ქუჩების შესამჩნევ კუთხეებში; ამ განცხადებაში აღნიშნული იქნება ყველა ზემოდ ნახსენები და აგრეთვე კანონების შესაფერი მუხლები.

— ტფ. გუბერნატორმა ქალაქის მოურავს აცნობა, რომ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის განმარტებით, რუსეთის ქვეშევრდომნი რომის კათოლიკენი ამომრჩეველთა საერთო კურიაში უნდა იყვნენ ჩაწერილნი, სახელმწ. სათათ. არჩევნების დებულებათა 147 მუხ. ძალით.

— სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულებათა მუხ. მიხედვით, ტფ. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა რაც შეიძლება საჩქაროდ დანიშნოს დღეები და საათები, როდესაც დაინტერესებულ პირთ შეეძლებათ ამომრჩეველთა სიების გადათვალიერება და ეს პრესით თუ სხვა საშუალებით აცნობოს მცხოვრებლებს.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ ინჟინერს მელიქ ბეგლიაროვს წინადადება მისცა: წარსულ წლებისადაგვარად წელსაც მოაწყოს პავილიონი ალექსანდრეს ბაღის ქვევითა ნაწილში მდებარე აუზზე, სადაც 1 აგვისტოს წყლის კურთხევა მოხდება.

✦ რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ტფილისის განყოფილების გამგეობამ ამიერკავკასიის რკინის გზის სამართველოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა: იმ მეხილეთ, რომელნიც ამიერ კავკასიიდან შიდა რუსეთში ერთად ბევრ ხილსა და მწვანილეულობას აგზავნიან „დიდის სისწრაფით“ სამგზავრო მატარებლებით, ნება დართოს საფრახტო ფული გადაიხადონ არა ადგილობრივ გასაგზავნ სადგურიდან არამედ იქ, სადაც ჩაიბარებენ.

✦ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა სოფ. ვოთელია, კულიკამი, ვლადიმიროვკა და არაგოვას (ახალ-ციხის მაზრა) სოფლების ყრილობათა დადგენილება, რომლითაც ისინი პირველ დაწყებით სკოლის გახსნას თხოულობენ. აგრეთვე წარუდგინა სოფ. დისევისა და კულბიტის (გორის მაზრა) სასოფლო ყრილობათა დადგენილებანი. ისინიც პირველ დაწყებით სკოლების გახსნას თხოულობენ.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი,** რომელიც ექვსის დღით ბათომს იყო წასული, გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

✦ **კავკასიის შესასწავლად** უცხოეთიდან ჩამოვიდნენ დოქტორები გერმაუ-რენნერი და ოსკარ შუსტერი და ვექილი ვალტერი, რომელნიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან. აქედან კავკასიის სხვა და სხვა დაბა-ქალაქსა და შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად წავლენ.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი** ბარონი ფონ-როოპპი 25 ივლისს ბათომს გაემგზავრა.

✦ **ექსკურსია.** დღეს, 27 ივლისს, საღამოს 7 ს. 8წ. ექსკურსიით სანაინსა, ალავერდის სპილენძის ქარხნებსა, ახპატის მონასტრის და ახტალის დასათვალიერებლად მიემგზავრებიან ტფ. ბუნების მოყვარულთა საზოგადოების წევრები.

✦ კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის წევრი-საქმის მწარმოებელი პ. ს. ფირალოვი, ქუთაისის გუბერნიაში მოგზაურობიდან დაბრუნდა ტფილისს.

✦ ტფილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ტაინ. სოვ. ნ. ნ. ლაგოდა ტფილისიდან წავიდა, იმის თანამდებობის დროებით აღსრულებას პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე ს. გ. როჟდესტვენსკი შეუდგა.

✦ **პოლიტეხნიკუმი ტფილისში.** როგორც ტფილისში მოსულ ცნობებით სჩანს, ნება დაურთავთ, ტფილისში პოლიტეხნიკუმი დაარსდეს. ხარჯი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა იკისრონ.

✦ **ახალი საქალაქო სესხი.** კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართოს ტფ. ქალაქის თვით-მმართველობას, 80,000 მან. სესხი აიღოს სამშობიარო თავშესაფარის შენობის ასაგებად. ამ ფულის მისაღებად ქალაქი რომელსამე მიწას დააგირავებს ბანკში.

✦ **შემწეობა.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა დაადგინა, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ერთდროულად 2,000 მან. მისცეს რუსულ ჟურნალის „კავკაზსკოე ხოზიაისტვო“-ს (კავკასიის მეურნეობა) საჭიროებისათვის.

✦ **ნამესტნიკის საბჭომ** დაადგინა, დამატებით 610 მან. გადასდოს საერობო თანხიდან მოსკოვში განზრახულ მეცხვარეობის გამოფენაზე კავკასიის განყოფილების მოსაწყობად.

✦ **წესიერი დასვენება.** ახალი სავალდებულო დადგენილებათა გამო, როგორც ვწერდით, მთავრობის წინაშე მრავალი საჩივარი აღიძრა. კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ გუბერნატორს წინადადება მისცა, ეს დადგენილებანი გადასინჯოს კანონიერის გზით. გადასინჯვამდე დადგენილებათა გაუქმება, ან დროებით შეჩერება არ უნდა მოხდეს.

✦ **მებამბეთა კრება.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო, 25 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ტფილისში ამიერ-კავკასიის მებამბეთა კრება მოიწვიონ. კრების თავჯდომარედ დაინიშნა ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, ხოლო მის ამხანაგად-სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ი. კ. ვასილიევი.

✦ გაზეთი **„ჩვენი ცხოვრება“** დაუჯარიმებიათ ორასი მანათით. რადგანაც რედაქტორს ჯარიმა ვერ შეუტანია იგი დაუპატიმრებიათ. ამის გამო გაზეთიც აღარ გამოდის.

✦ ტფ. ქალაქის მოურავმა ტფ. გუბერნატორს წარუდგინა საჩივარი, გასაგზავნი უმართებულეს სენატში. ქალაქის მოურავი თხოულობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შარშანდელ 4 აგვისტოს გამოცემულ კანონების გაუქმებას ახალ შენობების აგების თვალყურის დევნების შესახებ. ქალაქის მოურავი, უთითებს საამშენებლო წესდების დამატების 185 მუხლს, რომელთაც სამინისტროს კანონების გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო დებულება არ არის შემოღებული. ამიტომ მოურავი სთხოვს სენატს, გააუქმოს ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საკრებულოს მიერ შემოღებული წესები, ახლად ასაგებ შენობებზე თვალყურის დევნების შესახებ.

✦ **ქალაქის შემოსავალი** პოლიციის დახმარებით 1-დან 15 ივლისამდე ქალაქს შემოსვლია: შესაფასებელი გადასახადი 21,917 მანეთი 77 კაპ. და საცხენო გადასახადი 49 მან. 57 კაპ. დარჩენილა შესაკრები: შესაფასებელი—9354 მანეთი 3 კაპ. და საცხენო—255 მანეთი 37 კაპ.

✦ **სახალხო გასართობთა ტფ. საზოგადოების კომიტეტი** მადლობას უხდის იმ პირთ, რომელთაც ხელი შეუწყეს პირადის შრომით 20, 21 და 23 ივლისს გამართულ სეირნობებში. მთელი შემოსავალი იყო 1442 მან. 88 კაპ. ხარჯი—280 მან. წმინდა მოგება 1160 მან.

აი სია იმ პირთა, რომელთაც სეირნობებში მონაწილეობა მიიღეს და რომელთაც კომიტეტი მადლობას უხდის: ქ-ნნი ს. ი. ბერიძე, ე. ნ. ბობრაკოვი, ნ. ა. გოგოლევი, მ. ა. გოგოლაშვილი, ბ. ი. გრინნი, მ. ს. დოლაქაშვილი, ნ. ფ. ეზეკიანი, თ. გ. ყიფშიძე, ნ. ვ. და ს. ვ. ყოჩიაშვილები, ა. ი. მოლოტკოვი, ე. ს. ტკიშერსკი და ა. ტ. ჩუხროვი და ბ-ნნი: კ. გ. გეგელიძე, დ. ა. გოგოლაშვილი, ი. ს. გომართელი, ლ. კ. ჯაიკი, გ. გ. ყიფშიძე, ს. ი. კონდრაციკოვსკი, ს. ა. ქოსაშვილი, გ. ფ. ქურდევანიძე, დ. ი. ქურდევანიძე, დ. ი. კურცხალია, ა. ი. ლოზიცკი, ე. ი. მეტრეველი, ნ. ი. სილვაჩინსკი, ი. ა. ტარაკანოვი, ი. ი. ტასმუტი, ს. ხომასურიძე, ნ. ა. ჭამკვატაძე, ნ. ტ. ჩუხროვი, სტუდენტი წერეთელი, გიორგი უსეინაშვილი, ზურაბ გიორგიძე და სვიმონ კანდარელი.

✦ ოთხშაბათს, 25 ივლისს, საღამოს 10 საათზე, შინ ბრუნდებოდა გაზეთ „ზაკავკაზიეს“ თანამშრომელი ნ. პროკოფიევი, რომელსაც დავიდოვის ქუჩაზე წამოეწია ამავე ქუჩაზე მდებარე დუქნის პატრონის წურინოვის ვაჟი ალექსანდრე. წურინოვი ჩამტერებია პროკოფიევს, გაზეთ „ზაკავკაზიის“ 166 ნომერში მოთავსებულ ქრონიკისათვის: „მხეცური ხუმრობა“, რომელიც წურინოვს ეხებოდა და რომელიც ჩვენც გვქონდა დაბეჭდილი. რადგანაც პროკოფიევი იქვე ახლოს ცხოვრობს, წურინოვს სცოდნია, რომ პროკოფიევი გაზეთში თანამშრომლობს. პროკოფიევს დროზე აცნობებს ხიფათი და ამიტომ მომზადებული ყოფილა და დაუსტვენია; მას მიშველებია მგზავრები და პოლიციელები და წურინოვმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესმა სამმართველომ ნება დართო გახსნან სოფ. ყვარელში (თელავის მაზრ.) საფოსტო განყოფილება.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ გორის ქუჩაზე მცხოვრები, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ვიქტორ ევგენის ძე ემიხი და ოლგას ქუჩაზე მცხოვრები ანტონინა კაშირსკისა.

ტფილისის მაზრა.

✦ რამდენიმე ხნის წინათ, უგზოუკვლოდ დაკარგული ოსმალეთის ქვეშევრდომი, რომელიც სოფელ ყარა-თაფაში სცხოვრობდა (ტფილისის მაზრა). მამედ ისმაილ აზიზ ოღლი, როგორც გამოუკვლევიათ, სიყვარულის ნიადაგზე მოუკლავთ მის სახლშივე—და გვამი მტკვარში გადაუგდიათ: მას ცოლს—ნაზან შაზივარ კიზის, სიმამრს—შაზივარ ომარ ოღლის, სიდედრს—გულდამან სოუნკიზის და მაშადი სონა მამედ-კიზის. ზემოხსენებული პირნი სამართალში არიან მიცემულნი,—და საქმე მეორე ნაწილის გამომძიებლის ხელში სწარმოებს.

სოფლად

✦ **ს. საბუე** (თელავის მაზრა) ივლისის პირველ რიცხვებში კნ. თამარა ირაკლის ასულ ჯორჯაძის დიასახლისობით გაიმართა **წარმოდგენა** საქველმოქმედო მიზნით. ითამაშეს „გაცრუებული იმედები“ ქ-ნ აზიანისა. მონაწილეობას იღებდნენ თავ. ჯორჯაძეების ქალ-ვაჟნი, ვარდოეკისა, ჯაჯანიძისა და თურქაძე. საღამომ მხიარულად ჩაიარა. წმინდა შემოსავალი ათ თუმნამდე დარჩა, რომელიც თბილისის ქართ. გიმნაზიაში უფასო სადილების მომწყობ კომიტეტს გადაეცემა.

✦ **„კარანუკ-დახა“** (ტფილისის მაზრა) მეხმა მოჰკლა ორი კამეჩი, რომელიც სოფელ წინწყაროს მცხოვრებ ივანე გურჯიშვილს ეკუთვნოდა. პატარა ბიჭი კი, კამეჩების მწყემსი, იქვე ახლოს გონება დაკარგული ნახეს.

✦ **ს. თიანეთი** (თიანეთის მაზრა). ადგილობრივმა მცხოვრებმა ალექსანდრე ღვინიაშვილმა, თავის მოკვლის განზრახვით, რევოლვერი დაირტყა კისერში. თავის მოკვლა რომანიულ ნიადაგზე მოხდა.

✦ **თიანეთის მაზრა.** წარსულმა სეტყვამ და ნიაღვარმა, როგორც ეხლა გამოირკვა, დააზარალა შემდეგი სოფლები: თიანეთი, ალთი, ნაჭრიანთხევი, ბაკონი, მაჟალოვანი, ჰექურაანთ გორა, ზანამხარი, თეგერაანთ სოფელი, ძებიგაური, ჯებოთი და ლელოვანი. უმეტესად გაფუჭებულია ნათესი პურისა და ქერისა, სულ 12½ დესეტინის მანძილზე. ზარალი 20,000 მანეთს აღემატება.

✦ **სოფ. ასპინძა** (ახალციხ. მაზ.). საქონელს შავი ჭირი გაუჩნდა. ადგილობრივმა მთავრობამ ამ სენთან საბრძოლველად საჩქარო ზომები მიიღო.

მიწერ-მოწერა დიმიტრი ყიფიანთან

(მის ხელნაწერებიდან).

21 აპრილს, 1881 წელს. ტფილისი.

ღრმად პატივცემულო
დიმიტრი ივანიჩ!

თქვენგან მონდობილი საქმე შესახებ უ. საბინინის წიგნისა მოვახსენე მმართველობას და ამასთანავე გადავეცი თქვენი და ჩემი შეხედულობა მამა-წმინდანების ცხოვრებაზე. სიტყვიერ ჩემს მოხსენებაში სხვათა შორის ის აზრიც გამოვხატე, რომ მამა-წმიდანების ცხოვრება, ამათი მოქმედება ჩვენ ხალხ შორის შეადგენს ჩვენი ხალხის ზნეობითი ცხოვრების ისტორიას, რომ ეკლესიური ცხოვრება ისეთნაირად იყო გადახლართულ-გადაბმული სამოქალაქო ცხოვრებასთან, რომ ერთის ანუ მეორის შესწავლის დროს უნდა ისარგებლოს კაცმა ორივეთი. ვინც არ გამოიძიებს, არ შეისწავლის მამაწმიდანების მოქმედებას საქართველოში, იმას არ შეუძლიან შეადგინოს მთელი ნათელი აზრი ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე და ამის გამო წმიდანების ცხოვრების აღწერა და დაბეჭდვა ძვირფასი საუნჯეა საქართველოს ისტორიისათვის. რასაკვირველია ამას ისიც დაუმატე, თუ ამ წიგნის დაბეჭდვას რა დიდი მნიშვნელობა ექნება სასულიერო წოდებისათვის და აგრეთვე ჩვენი ხალხოსნობისათვის იმ დროს, როდესაც ზოგიერთებს სურთ გაგვრიონ განათლებულ ველურ მცხოვრებლებთან. ამ გვარ აზრების გამო მმართველობის წევრები შეუდგნენ გამოძიებას, თუ რამდენად მოსახერხებელია საზოგადოებისთვის ამ წიგნის დაბეჭდვა. როდესაც გამოიანგარიშეს საზოგადოების ქონება და მომავალი აუცილებელი ხარჯი, გამოჩნდა, რომ ფული მაგდენად არაფერი დაგვრჩება მომავალი წლისათვის და ამისათვის მმართველობამ გამოაცხადა, რომ ღონის ძიება ნებას არ იძლევა უ. საბინინის თხოვნა ავასრულოთ. მე თვითონ კი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი აზრი გამოვსთქვი. უ. საბინინს მე თითონ გამოუცხადე ჩვენი მმართველობის გადაწყვეტილება, რომელმაც ძრიელ ჩააფიქრა. ეხლა ეს დიდად იმედოვნებს მანდ პეტერბურგში მოახერხოს რამე. რასაკვირველია, თქვენ ჩემზე კარგად უწყით ბ. საბინინისაგან შედგენილი წიგნის მნიშვნელობა და ამისათვის თქვენის მხრით ყოველ გვარ შემწეობას აღმოუჩენთ და მისცემთ რჩევას უ. საბინინს, თუ როგორ მოიქცეს, რომ აკადემიის ტიპოგრაფიიდამ თავისი წიგნი გამოიტანოს. ზოგიერთი სახსრები მე თითონ უჩვენე, როგორც ამ სახსრებს ისე სხვებს თითონ პირდაპირ მოგახსენებთ, როცა მანდ გიახლებით.

ეს აპირებს წამოსვლას აღდგომის შემდეგ.

ი. გ. ჭავჭავაძემ კარგი ამბავი ჩამოიტანა ბათუმიდან. სკოლა გაუხსნიათ. უ. კომაროვს რამდენიმე სიტყვა უთქვამს ბეგებისათვის ჩვენი სკოლის თაობაზე, სხვათა შორის უთქვამს: „ქართველობა გიხსნით თქვენ სასწავლებელს თქვენს ღვიძლ ენაზე—ქართულ ენაზე და აბა ეცადეთ, რომ თქვენი ენა კარგად შეისწავლოთ“. შეგირდები ჯერ ცოტანი არიან თურმე, მაგრამ იმედოვნებენ, რომ საკმაოთ მოგროვდებიან.

ჩვენს ტფილისში აგრე-რიგათ არაფერი თვალსაჩენი ამბავი არა მომხდარა-რა თქვენი წაბრძანების შემდეგ თვინიერ ერთი ამბავისა. მე ვამბობ ახალი დირექტორის დანიშვნაზე ტფილისის გუბერნიაში. უ. იანოვსკიმ ხელ-მეორეთ დაამტკიცა, თუ რა ცუდი თვალით უცქერის ჩვენი ხალხის განათლებას, თუ რა ცოტა მნიშვნელობას აძლევს საზოგადოების აზრს და მოთხოვნილებას. მგონი ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო სასწავლებლის დირექტორმა უეჭველად უნდა იცოდეს სკოლის ენა, ხალხის მოთხოვნილებანი, მისი ხასიათი, ზნეობა და ჩვეულებანი. უამისოთ იმას არ შეუძლიან მოუტანოს ხალხს განათლების ჯეროვანი სარგებლობა მაგრამ ყველა ეს ან არა სწამს უ. იანოვსკის, ან კიდევ სწამს, მაგრამ განგებ სჩადის და სახალხო სკოლების დირექტორებად ნიშნავს იმგვარ კაცებს, რომლებმაც არც სკოლის ენა იციან და არც ხალხს იცნობენ. აი ეხლა უ. სტრელეცკი, ქართული ენის უცოდინარი, დაინიშნა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში დირექტორად; ამის მაგივრად კიდევ აქ საქართველოს გულში სახალხო სკოლების დირექტორად გამწესა უხეირო, გამოუცდელი, ქართული ენის უცოდინარი უ. დარსკი. ამ ათი წლის წინად ჩვენ. გამანათლებლებს შეეძლოთ ეთქვათ: „ძლიერ გვსურს ქართველებთაგანი დავნიშნოთ დირექტორებად, მაგრამ საუბედუროდ ქართველობაში არ მოიპოვებიან პედაგოგიის ასპარეზზე გამოსადეგი კაცები. ეხლა კი ამის თქმა არ შეუძლიანთ. არც ერთი ქართველთაგანი უ. დარსკზე ნაკლები არ არის. თითოეული მათგანი ჭკუა-გონებით, გამოცდილებით ძლიერ მაღლა დგას ახალ დირექტორზე და ამისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც სახალხო სკოლებისათვის დირექტორებს ეძებენ, იმას კი არ უცქერიან აღმოაჩინონ მართლად გამოსადეგი პირნი, არამედ იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი და ეს მოვლენა როგორც განათლებულ რუსისათვის ისე განათლებულ ქართველისათვის,—ერთი სიტყვით ყველასათვის, ვისთვისაც კი ძვირად ღირს ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობა—დიდი სამწუხარო მოვლენაა.

ჩვენ დიდად ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ამ გვარ საქციელებას საქართველოს განმანათლებელისას მანდ ყველას შეატყობინებთ. მისს ბრწყინვალებას გრაფს ლორის-მელიქოვს, როგორც წარჩინებულ სახელმწიფო მოქმედ პირს არაფრად არ იამება აქაური სწავლა-განათლების მთავრობის მოქმედება. დარწმუნებული ვართ რომ არც ბარონი ნიკოლაი—სწავლ-განათლების ახალი მინისტრი მოიწონებს, თუ კი დაწვრილებით შეიტყონ ყველა ეს.

ღრმად პატივცემულო დიმიტრი ივანიჩ! როგორც თქვენ გტკივათ გული ჩვენი მამულისათვის, როგორც თქვენ გესმით ჩვენი ხალხის მდგომარეობა ამ ხალხის აწინდელი და მომავალი ბედი, ისე არავის. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. ამისათვის ისევ თქვენ უნდა იხმაროთ ყოველ-გვარი ღონისძიება და მანდ სიტყვიერის მოქმედებით ჩვენი სამშობლო საქმე გაასწოროთ.

თქვენი დიდი პატივისმცემელი*).

ნ. ცხვედაძე.

---

*) სასურველია, რომ დ. ყიფიანის საბიოგრაფიო ცნობანი, ვისაც რაც მოეპოვება „სახალხო გაზეთის“ რედაქციას მოაწოდონ. **რედ.**

კრიტიკული შენიშვნები

5.

„**მსხვერპლი**“, სამ მოქმედებიანი დრამა **ი. გედევანიშვილისა.**

როგორც ერთ წერილში უკვე აღვნიშნე, ბ. გედევანიშვილმა თვისი „მსხვერპლით“ ფრიად თვალსაჩინო განძი შესწირა ქართულ დრამატიულ მწერლობას. ამ ბოლო დროს ქართული დრამატიული მწერლობა აღორძინების გზას დაადგა ჩვენი ცნობილი დრამატურგ ნ. შიუკაშვილისა და ი. გედევანიშვილის მეოხებით, სრული იმედი მაქვს, ეს აღორძინება თან და თან იძლიერებს და თუ დღეს „მსხვერპლში“ ძალზე გვიზიდავს ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან ამოღებული სურათის მხატვრული შესრულება, ეჭვი არ არის, მალე ველირსებით ისეთ დრამატიულ ნაწარმოებსაც, რომელშიაც ცოცხლად იქნება დასურათ-ხატებული ძალზე დაავადმყოფებული ჩვენი ინტელიგენცია და საერთოდ ჩვენი ქალაქების ცხოვრებიდან ამოღებული სურათები. ამ მხრივ მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ბელეტრისტული მწერლობა, რომელმაც ამ ბოლო დროს ველარ მოგვცა, გარდა მოკლე უაზრო ესკიზებისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბ. მალაქიაშვილის რომანს: „შოთა ბროლაძეს“, რომელსაც ცხადად აზის ავტორის მოუმწიფებლობისა და მხატვრული ალღოს სრული უქონლობის ბეჭედი.

„მსხვერპლში“ ყველაზე უფრო ძვირფასი ჩვენი სოფლის ცხოვრების საერთო სურათია. ვისაც ხანგრძლივად უცხოვრია ჩვენს სოფლებში და საშუალება ჰქონია ადგილობრივი ცხოვრების გულდასმით დაკვირვებისა, იგი, უეჭველია, ულრმეს ესთეტიურ სიამოვნებას განიცდიდა ბ. გედევანიშვილის მიერ მხატვრულად შესრულებულ ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან ამოღებულ სურათის ჭვრეტით.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გაცისკროვნებული იმედით შევსცქეროდით მომავალს და ახალი ცხოვრების შექმნას ველოდდით, მაგრამ მოულოდნელმა სუსხმა იგი იმედი სათავეშივე ჩაჰკლა და კვლავ ბნელი დაგვაუფლა. იმ დროს ჩვენი გლეხობა, რომელიც ძალიან ძუნწია თვისი საკუთარი ჭირ-ვარამის სხვისთვის გადაცემა-გაზიარებაში, ის იყო, ეპირებოდა გაეზიარებინა სხვისთვისაც თავისი დაავადებული გულის ნადები, მინდობოდა სულით და გულით, მაგრამ აქაც ხშირად მოტყუება და გიგუასთანა პირების გაბატონება იხილა და შრომისაგან წელში მოხრილი უფრო მეტად მოიხარა, უფრო მეტად გულ-ჩათხრობილი შეიქმნა. სწორედ სრულს სიმართლეს ამბობს ავტორი მიხას პირით: „შენ, (გიგუას ეუბნევა) შენ და სულ შენისთანებმა დაღუპეს ჩვენი წმინდა საქმე, შენისთანებმა დაღუპეს ჩვენი ერთობაო“.

მერე და მართლაც რამდენ გიგუას იპოვიდით იმ დროს ჩვენში! გიგუასთანა პირები ხომ ყოველს ადგილზე გვეჩხირებოდნენ თვალში. არც გასაკვირველია, რადგან სწორედ გიგუებმა ისარგებლეს ჩვენი გლეხების გულ-უბრყვილობით და მდგომარეობის ბატონებად შეიქმნენ. მაგრამ განა მარტო გლეხების გულ-უბრყვილობით ისარგებლეს მათ?! განდიდებისა და პირად კეთილდღეობის გრძნობებით აღსავსენი, იგინი არავითარ სისაძაგლეს არ ერიდებოდნენ და მზად იყვნენ მიწასთან გაესწორებინათ ყველა, ვინც მათ ბინძურ სურვილების შესრულებაში ხელს შეუშლიდა, მზად იყვნენ „წმინდა საქმეც“ კი ეთქირათ ფეხით, რომლისთვისაც ვითომც იბრძოდნენ. გიგუას მოსვენება აქვს დაკარგული იმის გამო, რომ ყველგან ვანოს სახელს ახსენებენ, მას ლოცულობენ, ხოლო გიგუას კი ყველა ერიდება, ყველას სძულს და გრძნობა პირადი განდიდებისა იმდენად ძლიერად მეტყველებს მასში, რომ იგი ერთს ბოროტ-მოქმედებას მეორეს უმატებს. ყველაზე უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ იმ „წმინდა საქმის“ მეთაურობაც კი, რომელსაც ასე შეჰხაროდა ხალხი, განგებამ სწორედ გიგუასთანა პირებს არგუნა. და თვისი უმზგავსი მოქმედებით აკი შეაძულეს მათ ხალხს იგი, რაც მის გულში სალოცავ ხატად ესვენა! მხოლოდ ერთხელ, ისიც წუთიერად, იღვიძებს გიგუას სულში სინიდისის ქენჯნის მზგავსი: „მე თვითონ ძმობას, ერთობას, ამხანაგობას ვქადაგებდი და აი მე თვითონვე სადამდე მივახწიეო“. მაგრამ იგი ქენჯვნა წუთიერი იყო და გიგუას სულს კვლავ ძველი ბინძური გრძნობები დაეუფლა.

საერთოდ, მწერალს გიგუას სურათი სრულიად აქვს გადმოცემული და იგიც ტიპად ქცეული. დიდხანს იცოცხლებს ქართველი ერის მეხსიერებაში.

გიგუას სრული წინააღმდეგობაა ვანო; თუ პირველი განდიდებასა და სახელის მოხვეჭას ესწრაფის, მეორე საერთო კეთილდღეობას ეწირება ზვარაკად, თუ პირველის სულში ჩაწვეთებული თავისუფლების ციური ნამი ამღვრეულ და შმორიან ტბად გარდიქმნის, მეორეს ნათელ სულში იგი ნამი მთის ნაპრალებიდან მოდუდუნე წმინდა ნაკადად იქცევის, თუ პირველი პირად კეთილდღეობით განმსჭვალული არას დაეძებს თვისი სოფლის უბედურებას, მეორე ქალწულებრივი სინაზით თავს დასტრიალებს თავის სოფელს, თვის მოძმეებს; თუ პირველი თვის მოქმედებით ხალხს „წმინდა საქმეს“ აძულებს, მეორე თვის თავ-განწირვით ამ „წმინდა საქმეს“ დიადსა და ძვირფასსა ჰყოფს, რადგან: „რომელმან მიიღო წამება მისი, დაჰბეჭდა, რამე თუ იგი ჭეშმარიტ აარს“. იმდენად უმწიკვლო, იმდენად წმინდა სულის მატარებელ არსებად დაუსურათებია მწერალს ვანო, რომ დიდხანს ვყოყმანობდი, მეცნო იგი სინამდვილედ, თუ მწერლის ფანტაზიის ნაყოფად მეღიარებინა. მაგრამ დაკვირვებამ ნათლად დამარწმუნა უკანასკნელის აზრის სიყალბეში: რას ემგვანებოდა იმ საზოგადოების ცხოვრება, რომელსაც გიგუასთანა არსებანი წარმოუშვია, თუ მას ვანოსთანა ნათელი პიროვნებანი არ მოევლინებოდნენ და ოდნავ მაინც არ შეუმსუბუქებდნენ მას ცხოვრების სიდუხჭირეს და თვის თავ-განწირვით მკაცრად არ ამხილებდნენ ჩვენს დაცემა-დაქვეითებას.

აგრეთვე მეტად წრფელი გრძნობით აქვს დასურათებული მწერალს მოხუცი გაბუა, რომლის ქადარა „მტკიცე და ნამუსიანია“. მოხუც გაბუას სურათის საუცხოოდ გადმოცემისათვის კერძოდ არა ერთხელ შემითვლია ჩემს გულში გულ-წრფელი მადლობა ავტორისათვის, რადგან გაბუას სახის გათვალისწინების დროს ყოველთვის თვალ-წინ მიდგებოდნენ—ნაცნობი მოხუცი გლეხები, რომელთა დინჯი და დალაგებული გულ-წრფელი საუბარით არა ერთხელ განმიცდია სიამოვნება. მართალია, საუკუნოებით მონობაში ცხოვრებას, ბატონყმურ დამოკიდებულებას იგინი თითქოს შეურიგებია არსებულ მდგომარეობასთან, მაგრამ იმდენ გულ-წრფელობას, პატიოსნებას და მოყვასის სიყვარულს მოუყრია თავი მათ კეთილშობილურ მკერდის ქვეშ, რომ ძალაუნებურად იწვევენ ჩვენს პატივისცემას.

არ შევეხები ცალ-ცალკე „მსხვერპლის“ გმირებს, არც თვითეული მოქმედების ცალკე დაფასებას შეუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ საერთოდ სურათი, ჩვენის სოფლის ცხოვრებიდან ამოღებული, მწერალს მართლაც მხატვრულად და სინამდვილით აქვს გადმოცემული და ძლიერ შთაბეჭდილებასაც სტოვებს. განსაკუთრებით კარგი არის პირველი და მესამე მოქმედება. მათში თვალწინ გეშლებათ მთელი ტრაგედია ჩვენი სოფლების ცხოვრებიდან ამოჭრილი, რომელიც საქუა მედუქნესა და მრავალ უმზგავს პირთა ხელში ჩავარდნილა. თქვენს სულში გაჩქარებულ მუშაობას იწყებს აზროვნება მრავალ ფილოსოფიურ და სოციალურ საკითხთა შესახებ. ცხადია, ჩვენს მწერალს განუცდია იგი ცხოვრება და თვის სულის სიღრმეში გატარებული, უწრფელესი გრძნობით გალვივებული, ჩვენთვის გადმოუცია.

კერძოდ მეორე მოქმედების შესახებ სრულიად ვიზიარებ აზრს დიდად პატივცემულ კიტა აბაშიძისას, რომ იგი უადგილოდ და უხეიროდ არის ჩახირული ორ მხატვრულად შესრულებულ მოქმედების შუა, მაგრამ დრამის სიუჟეტის განსავითარებლად, შეიძლება კი, საჭირო იყოს, თორემ სხვაფრივ იგი მოქმედება მართლაც და მხოლოდ იაფ ეფექტის გამომწვევლია, რაც საერთოდ ამ დრამას სრულიად არ შეესაბამება.

ალ. წერეთელი.

მერძეობის კურსები სოფ. დიდ-კარაკლისში.

როგორც „სახალხო გაზეთის“ მკითხველებს მოეხსენებათ, სოფ. დიდ-კარაკლისში (ერევნის გუბერნია) ყოველ ზაფხულს თიბათვის 15 მარიამობისთვის 15-მდე მიწად მოქმედების დეპარტამენტის მიერ იმართება მერძეობის კურსები. კურსებზე ასწავლიან ერბო-ყველის მომზადებას და შინაურ საქონლის მოვლა მოშენებას. კურსები განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებისათვის, იმართება რათა მათის საშუალებით გავრცელდეს ხალხში გაუმჯობესებულის წესით რძის დამუშავება და შინაურ საქონლის გონივრული მოვლა-მოშენება.

აღსანიშნავია, რომ კურსების პროგრამას ყოველ წლივ სისტემატიურად აფართოებენ. წელს, მაგალითად, პროგრამაში ჩამატებულია შინაურ საქონლის ჰიგიენა და წამლობა.

საინტერესო სანახავია კურსებთან მოსკოვის მეცხვარეობის გამოფენისათვის თავმოყრილ ცვრებისა და თხების სხვა და სხვა ჯიშები. მოგროვილი ჰყავთ თითქმის კავკასიური ყველა ჯიშები. თითო ჯიშისა სამსამი დედალ-მამალი და ბატკანი ან ციკანი. ცხვრები შემდეგი ჯიშისაა: ლეკური ექვსი ჯურა—1. **ავარიისა თეთრი, 2. ავარიისა შავი, 3. ნაგაისა, 4. ანდიისა, 5. დარგინისა** და **6. სამურისა** (ყველა ეს ჯიშები შეძენილია დაღესტნის ოლქში.) **7. სევასის ჯიში** (მცირე აზიური ჯიშია; ნაყიდია არდაგანის ოლქში) 8 ყარაბაღისა, **9 მაზუხისა.** 10. ბოზახისა (ყომრალი ფერისაა, გავრცელებულია ბამბაკში და მის ახლოახლო მდებარე ადგილებში) **11 ბალბასი** (ბოზახის ჯიშისაა, მხოლოდ მეტად დიდია. ნაყიდია ნახიჩევანში). **12. ოსური 13. იმერული** და **14. თუშური.** თხები სამი ჯიშისაა **1. ქართული** (ნაყიდია სოფ. ვაშლოვანში) **2. ანგორისა ანუ ფინიკა** (მცირე აზიური ჯიშია; ნაყიდია სარიყამიშში) და **3 ლეკური** (მეტად ლამაზი სანახავია; გარეგნობით გარეულ თხას წააგავს. ნაყიდია დაღესტნის ოლქში.)

ამას გარდა წელს ფრინველების მომშენებელ საზოგადოების მიერ კურსებთან მოწყობილია ფრინველების მოვლა-მოშენების სწავლება...

კურსების მსმენელთა რიცხვი წელს 36-მდეა. მომეტებულს ნაწილს შეადგენენ სხვა-და-სხვა ეროვნების სოფლის მასწავლებლები. ყველანი გამოგზავნილნი არიან სამოსწავლო მთავრობის მიერ და ეძლევათ როგორც გზის ხარჯი, აგრედვე დღიური-დღეში თითო მანეთი. უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი არც ერთი არ მოიპოვება კურსებზე. საჭიროა ჩვენმა სოფლის მასწავლებლებმა, განსაკუთრებით დუშეთ-თიანეთის მაზრის სკოლებისამ, მიაქციაონ კურსებს ყურადღება და, კვლ. ავ. მაინც მოახერხონ კურსებზე დასწრებ თუმცა მართალია, კურსებზე თვით სკოლის მთავრობა ჰგზავნის სოფლის მასწავლებლებს თავის სურვილით, მაგრამ, ჩემის აზრით, ცოტაოდენი თვით მასწავლებლებზედაც არის დამოკიდებული. თუ კი მასწავლებელს სურვილი ექნება ამ დარგის შესწავლისა და ხალხში გავრცელებისა და ჩააგონებს ინსპექტორს, რომ მისი სკოლის რაიონის მცხოვრებნი მერძეობას მისდევენ და ითხოვს კურსებზე გაგზავნას, მგონი, სკოლის მთავრობა უარს არ ეტყვის, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა კურსები სოფლის მასწავლებლებისთვის სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველობის დარგების შესასწავლად. თუ ასეთის საშუალებით ვერ შეისრულებს სურვილს, შეუძლიან სხვა ღონისძიებას მიმართოს. აი, მაგალითად, რა მიამბო ერთმა ყარსის ოლქის მასწავლებელმა. „ჩვენს სოფელში მცხოვრებნი მისდევენ განსაკუთრებით მერძეობას, მაგრამ ეს საქმე მეტად ცუდად აქვთ დაყენებული. თუმცა პირობები კარგი აქვთ საქონლის მოშენებისათვის და რძეც ბევრი მოეპოვებათ, მაგრამ რიგიანად ვერ გამოუყენებიათ. აზრად მომივიდა შემესწავლა ეს დარგი და ჩემს სკოლასთან მომეწყო ამ დარგის სწავლება. ჩემი აზრი მოვახსენე ინსპექტორს, მაგრამ მან უარი მითხრა. მიზეზად უფულობა დაასახელა. ინსპექტორის უარმა გული არ გამიტეხა და ახლა ჩემი განზრახვა გავუზიარე ჩვენი სოფლის ყრილობას და წინადადება მივეცი განაჩენი დაედგინათ და ეთხოვათ ინსპექტორისათვის სკოლასთან მერძეობის სწავლების მოწყობის და მასწავლებლის კურსებზე გაგზავნის შესახებ. ეს წინადადება გლეხებმა ერთხმივ მიიღეს და გაუგზავნეს განაჩენი ინსპექტორს. ინსპექტორმა უარი ველარ გაიმეორა და დაჰპირდა სოფელს სკოლასთან ამ დარგის სწავლების მოწყობა, მე კი კურსებზე გამომგზავნა“.

საჭიროა ასეთ მაგალითს მიმართონ ჩვენმა სოფლის მასწავლებლებმაც.

ს. კ.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთა ექსკურსია თელავში

ცხადყოფილია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან ნაკლებ იცნობს თავის სამშობლოს. მაშინ, როდესაც ისინი ხალისიანად მიდიან რუსეთის და ევროპის სხვა და სხვა ადგილების სანახავ-გასაცნობად, იქვე მის გვერდით მდებარე ღირსშესანიშნავი ადგილის და ჩვენი წარსულ აყვავებულ ხანის საუკეთესო ისტორიულ განძის არსებობა არც-კი იციან, არამც თუ ენახოთ. ამნაირად ქართველი თავის სამშობლოს ძალიან ნაკლებ იცნობს, დასავლეთ საქართველოს შვილისთვის სრულიად უცნობია აღმოსავლეთი საქართველო, აღმოსავლეთელისთვის—დასავლეთი მხარე.

ამისათვის სასიამოვნო აღსანიშნავია ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთა ექსკურსიის მოგზაურობა საქართველოში, რომელნიც ზედმიწევნით ეცნობიან თავის სამშობლო მხარეს. ამ გიმნაზიის უფროს კლასის მოწაფენი კახეთსაც ეწვივნენ. ცივი-გომბორის მთის მხრით თელავში 15 ივლისს ჩამოვიდნენ; უნდა დაუმატო, რომ ეს პირველი მაგალითია კახეთში საექსკურსიოდ მოსულიყვნენ ჩვენი მოსწავლენი და ამისათვის სიამოვნებით დაუხვდით და ვცდილობდით ყველაფერი გაგვეცნო მათთვის.

კახეთმა და თელავმა თავის ბუნების სიმშვენიერით და სიძველეთა სალაროთი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე. უმთავრესად მათ აინტერესებდათ და მოუთმენლად მოელოდნენ მეფე ერეკლე მეორის ნასასახლარის ნახვას, სადაც ეხლა მოთავსებულია წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი. დიდის ყურადღებით დაათვალიერეს სასახლე, ერეკლეს აბანო, მისივე კარის ეკლესია, საზაფხულო სახლი, სამეუფეო დიდი დარბაზი და ის ოთახი, სადაც ავადმყოფი იწვა პატარა კახი. ამ ოთახში რომ შევდიოდით მეტი მოუთმენლობა ეტყობოდათ და თითქოს კრძალვით სინჯავდნენ იმ პატარა თაღ-გადაქნილ კედლებს, რომლის წინაშე განუტევა სული კრწანისის გმირმა. დაათვალიერეს აგრედვე ძველდროინდელი საკრებულო ტაძარი, სასულიერო სასწავლებელი, რომლის ადგილას წინად სემინარია იყო, იქვე მიწაში ღრმად მიმავალი გვირაბი, საიდანაც წყალი ამოჰქონდათ უწინდელ დროში, როცა ამ ციხეში იკეტებოდნენ ხოლმე. აქ ეხლაც მშვენიერი წყალი გადმოჩხრიალებს; ნახეს 200—300 წლოვანი ვეებერთელა ჭანდრის ხე და სხვა თელავის ცოტათ თუ ბევრად ღირსშესანიშნავი ადგილები. მოსწავლეთ თან ფოტოგრაფიული აპარატიცა ჰქონდათ და ყველას სურათებს იღებდნენ, რომელთა შორის ზოგიერთები მოთავსებული იქნება „სახალხო გაზეთის“ დამატებაში.

აგრედვე იყვნენ ალავერდის საკათედრო სობოროში, რომლის სიდიდეს განცვიფრებაში მოეყვანა, მეტად კმაყოფილნი დაბრუნდნენ შუამთის მონასტრიდან, აქ ახალი და ძველი შუამთის დათვალიერების და ბევრ საყურადღებო ნაშთის ნახვის შემდეგ, მონასტრის ძმობა იგუმენ ნიკოლოზის მეთაურობით უხვად გამასპინძლებოდნენ.

თელავში 6 დღე დაჰყვეს. 20 ივლისს რამდენიმე ახალგაზრდამ სადილი გაუმართა, რომელმაც მხიარულად ჩაიარა, ხოლო საღამოთი წ. კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობამ ექსკურსანტები მიიწვია მგოსან ილიას სახსოვრად გამართულ საღამოზე. მოსწავლენი კმაყოფილნი დარჩნენ, როგორც საღამოს შინაარსით, ისე მით რომ ქართველი საზოგადოება ასე პატივისცემით მოეპყრო პოეტის ხსოვნას და ბლომად დაესწრო.

21 ივლისს ჩვენი ახალგაზრდა ექსკურსანტები გაემგზავრნენ ქიზიყისკენ. გზაზე დაათვალიერებდნენ წინანდლის საუფლისწულო მამულს, სიღნაღს, საიდანაც ჩავლენ ტფილისს, ხოლო იქიდან ბორჯომის ხეობით დაბრუნდებიან ქუთაისს, ასე 2—3 კვირის შემდეგ.

ექსკურსანტები ყველანი კარგად არიან, ფეხით მოგზაურობა მშვენივრად აუტანიათ და სალამს უძღვნიან თავის მშობლებს და ნაცნობებს.

იმედია ამ პირველ მერცხლის მაგალითს სხვებიც მიჰბაძამენ და ყოველ წლივ წესად დაიდებს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა ისარგებლოს ზაფხულის თავისუფალი დროთი და პატარ-პატარა ექსკურსიებს მოწყობით გაიცნოს თავისი სამშობლო მხარე.

დავიწყებული.

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

† პროფესორი ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი გარდაიცვალა 25 ივლისს.

† ფრიად სამწუხარო დეპეშა მიიღო ქ. შ. წ. კ. საზ. თავმჯდომარემ ექ. გაბრ. ლამბარაშვილისაგან „დღეს, 25 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე კუმისის კურორტზე (პოპოვისაა) ქ. სამარას მახლობლად, გარდაიცვალა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. განსვენებულმა 45 ათას მანეთამდე უანდერძა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. იშუამდომლეთ, რომ ტფილისში გადმოსვენების ნებართვა მოგვცენ“.

† პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი.

ქალაქ სამარიდან გუშინ დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: 25 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე, გარდაიცვალა ჩვენში და რუსეთში კარგად ცნობილი პროფესორი, ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი.

უკანასკნელ ხანამდე განსვენებული აღმოსავლეთის ენათა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართულ სიტყვიერების პროფესორად იყო.

დაიბადა 1866 წელს. ტფ. პირველ სავაჟო გიმნაზიის დასრულების შემდეგ განსვენებულმა მოსკოვის უნივერსიტეტის საისტორიო - საფილოლოგიო ფაკულტეტი გაათავა, სადაც პრივატ-დოცენტად დარჩა და 1900 წლიდან ლექციას კითხულობდა ქართულ ისტორიიდან და ლიტერატურიდან.

მთელის სიცოცხლის განმავლობში განსვენებული დაუღალავად და ნაყოფიერად მუშაობდა და მართლაც ქართველებს ბევრი საყურადღებო და ძვირფასი შრომა დაუტოვა. მისი მრავალი რუსული და ქართული თხუზელებანი შეიცავენ დიდ და კარგად შემუშავებულს მასალას საქართველოს ისტორიიდან და ლიტერატურიდან. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ძველ ლიტერატურის კვლევა-ძიების საქმეს.

იგი ახლო მონაწილეობას იღებდა კავკასიის და რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში.

განსვენებულის ღვაწლს შემდეგ ვრცლად შევეხებით, ახლა კი ვიტყვით, რომ იგი ისეთი ადამიანი იყო, რომლისთვისაც მუდმივი და დაუღალავი შრომა სამღვთო მოვალეობას შეადგენდა.

ამ იმვიათს მშრომელ მოღვაწეს, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, სულ 49 წლისა, კიდევ ბევრის ახალი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ სიკვდილმა უდროოდ გამოგვტაცა ხელიდან.

† პროფესორი ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი.

(ნეკროლოგი)

დეპეშამ მოგვიტანა ყოვლად სამწუხარო ამბავი ალ. სოლომონის ძის ხახანაშვილის გარდაცვალებისა.

განსვენებული ჯერ ისევ ახალგაზდა კაცი იყო, სულ 46 წლისა, მაგრამ გამუდმებულმა და დაუღალავმა გონებრივმა მუშაობამ უდროოდ მოჰკვეთა მისი ძალ-ღონე, თავისი დაღი დაამჩნია და განუძლიერა უკურნებელის სენის ნიშნები. ჯერ ისევ შარშან წინ ზაფხულს რომ მოვიდა მოსკოვიდან საქართველოში, მისი ნაცნობნი და მეგობარნი გაკვირვებულნი იყვნენ იმის უფერულობითა და ჯანის სისუსტით. მაშინვე ეტყობოდა, რომ ჩვენს ალექსანდრეს დიდი და ხანგრძლივი დასვენება ეჭირვებოდა, მის ჯანისათვის დიდი გაფრთხილება, მოვლა და ფარეზი [illegible] საჭირო, მაგრამ...

მაგრამ განა დასვენება, თავის მოვლა და ფარეზობა ხვედრია იმ რჩეულთათვის, რომელთა გულშიც განუქრობლად ანთია ცეცხლი მეცნიერება-ხელოვნებისა და სამშობლოს ღრმა და მწვავე სიყვარულისა? განა ალ. ყაზბეგი ჩვენ თვალწინ არ გაჰქრა, სანთელივით არ ჩამოდნა და სულ ხუთის წლის განმავლობაში არ შეჰქმნა ის, რაც დაუვიტოვა გამუდმებულის, თავგანწირულის მუშაობით? რამდენი კიდევ სხვანი დაიწვნენ იმ ცეცხლით, რომელიც მოსვენებას არ აძლევს რჩეულს ადამიანს და იმდენად აძლიერებს სულს, რომ თითქმის ველარც კი ჰგრძნობენ თავის ჯანის სისუსტეს, ხორცის უძლურებას და კვლავ განაგრძობენ მუშაობას, ვიდრე უკანასკნელს ამოფშვინვამდე, ვიდრე კალმის ჭერა კიდევ შეუძლიანთ და ზედ შუაზედ არ გადასტეხიათ?! განა ასეთი არ იყო ბარათაშვილი? ასეთი არ იყო ინაშვილი, ნინოშვილი?

ასეთ რჩეულთა გუნდს ეკუთვნოდა განსვენებული ალ. ხახანაშვილიცა.

ამას ცხადად ამტკიცებს მისი მრავალ-ნაყოფიერი კვლევა-ძიება და მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზედ, იმისი რიცხვ-მრავალნი თხზულებანი ჩვენის წარსულის ცხოვრებისა და მწიგნობრობის შესახებ.

ალ. ხახანაშვილი დაიბადა 1866 წელს. ტფილისის პირველი გიმნაზია გაათავა 1884 წელს და მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1888 წელს, დანიშნულ იქმნა ქართულის სიტყვიერების პროფესორად აღმოსავლეთის ენათა ლაზარევის ინსტიტუტში მოსკოვს. 1900 წლიდან კითხულობდა ლექციებს მოსკოვის უნივერსიტეტშიაც ქართულის ისტორიისა და ლიტერატურისას, როგორც პრივად-დოცენტი. რუსულ სიტყვიერების მასწავლებლად იყო აგრედვე მოსკოვის დედათა გიმნაზიაშიაც.

უმთავრესი მისი თხზულებაა რუსულად დაწერილი ოთხი დიდი ტომი სათაურით: Очерки по исторіи Грузинской Словестности—ანუ ისტორია ქართულის სიტყვიერებისა—ზეპირისა და წერილობითისა—უძველესის დროიდან ჩვენ დრომდე. პირველი მისი ნაშრომი იყო: „კვალი საერო პოეზიისა“ „ქართლის-ცხოვრებაში“ და „ბატონ-ყმობა საქართველოში“, ამას წინად მეორედ დაბეჭდილი. ამ ნაწერებს ცხადად ეტყობა, რომ განსვენებული იყო ჭეშმარიტი მოწაფე იმისთანა მოძღვართა, როგორნიც არიან შესანიშნავი პროფესორები: გერიე, ვინოგრადოვი, კლიუჩევსკი და მილლერი. ნამდვილი ისტორიულ-კრიტიკული მეტოდი კვლევისა გამოიყენა, როცა განიხილა „საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებნი წყარონი“ და „სამხღვარნი ქართველთა ტომის გავრცელებისა ძველის ძველად“ (1890 და 1892 წ.) დასკვნა მისისის კვლევა-ძიებისა საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ დაწვრილებით არის აღწერილი „კავკასიის საარქეოლოგიო ექსკურსიებში“ 1892, 1893 და 1895 წ.წ.

სხვა კვლევა-ძიებათა შორის, რომელთა საერთო რიცხვი ასზედ მეტია, უნდა მოვიხსენიოთ: სიტყვიერების ისტორია, ძველ დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, ქართულად დაბეჭდილი, „მეცხრამეტე საუკუნის სიტყვიერების ისტორია“, ხელ-ნაწერად დარჩენილი, რომელიც ამ ჟამად წ. კ. საზოგადოებას აქვს, „ქილილა და დამანა“, ბალავარ და იოდასაფი“, ცხოვრება და მოღვაწეობა ბაგრატ ტაორომანელ ეპისკოპოზისა, ნაწყვეტი მეტაფიზიკისა და ფილოსოფიისა კათალიკოზის ანტონ I-ლის თხზულებიდან, „სათავად-აზნაურო სიგელნი“, საეკლესიო სიგელნი ანუ გუჯარნი (ქუთაისი 1893 წ.), „კანონნი იოანე მმარხველისა და დადგენილებანი მე-VI მსოფლიო კრებისა“, „ვეფხის-ტყაოსანი“ გარეშე საქმეთა მოსკოვის არქივის ხელნაწერების მიხედვით და მრავალნი სხვანიცა, როგორც ქართულ და რუსულ ენაზე, ისე ფრანგულად და გერმანულად დაწერილი სამეცნიერო მონოგრაფიები, დაბეჭდილია სხვა და სხვა სპეციალურს ჟურნალებში. ამას გარდა განსვენებული იღებდა მონაწილეობას და თანამშრომლობდა თითქმის ყოველ ქართულსა და აგრედვე ბევრ რუსულ გაზეთსა და ჟურნალში. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ალექსანდრე ხახანაშვილმა დაბეჭდა გაზ. „კავკაზში“ მეტად ცხარე პუბლიცისტური წერილი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, აგრედვე საფუძვლიანი რეფერატი წარუდგინა 1907 წელს წინასწარ საეკლესიო კრებას პეტერბურგში ეკლესიისა და სარწმუნოების მდგომარეობის შესახებ საქართველოში რუსეთთან ამ ქვეყნის შეერთებამდე.

აღარას ვიტყვით იმ აუარებელ წერილებისას, რომელსაც განსვენებული ჰბეჭდავდა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. იმათ სახელწოდებათა ჩამოთვლას გაზეთის მთელი სვეტი მოუნდება და არც დრო და ადგილი გვაძლევს აქ ამის ნებასა.

აი ასე მხნეობდა და ასე თავგამოდებით იღვწოდა განსვენებული და ასე ნაყოფიერი იყო მისი ხანმოკლე გონებრივის გამრჯელობით აღსავსე ცხოვრება.

ცხადია, ასეთს ჯაფას დიდხანს ვერ აიტანდა იმისი უიმისოდაც სუსტი აგებულება, შერყეული ჯანმრთელობა და აკი მალეც დაჰკრა მის აღსრულების ჟამმაც.

დიაღ, ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა ჩვენი ჩუმი მუშაკი, ჩვენი უპრეტენზიო მკვლევარი და გაჰყვა ისიც იმ დიდ მოამაგეთა, რომელნიც ასე ზედიზედ გამოეცალნენ ხელიდან ამ ბოლოს დროს ჩვენს ქვეყანასა და ერს, ასე ღარიბს მცოდნესა და მომზადებულ მოღვაწეებითა.

იმათთან ერთად ალექსანდრე ხახანაშვილის სახელიც დაუვიწყარი იქნება ქართველთა შორის. ცხოვრება და მოქალაქობა მათი გზას გაუნათებს მომავალს, აღზრდის ახალ მუშაკთა გუნდს და ეგ გუნდი განაგრძობს მათ სასიქადულო და საქვეყნო საქმეს...

გრ. ყიფშიძე.

პატარა ფელეტონი

დიდება...

ჩემი ლოცვა

დიდება...

დიდება შენდა...

დიდება შენდა მშობელო, რათა წარმოშვი შენ სალოცავი უზენაესად მირონცხებული ვით ბუნებითა მაცხოვარი მზე სხივთა მოცული, გაბრწყინებული...

დიდება შენდა განგებავ... რომელ მოგვიძღვენ ჩვენდა საბრწყინვალ ვითა მთვარეი, მზისით-მნათი [illegible] დიადში გზის [illegible]...

დიდება შენდა [illegible] რომ მოგვივლინე ჩვენ სასოვოდ, სასიქადულოდ... ვით სამოთხიდგან მაისის ვარდი გადმონერგილი... რომლის სინაზით, უხვ-სურნელებით აგალობა ველად ბულბული...

დიდება...

დიდება შენდა, ქვეყნის ასულო, მით დედოფალო... მარად გილოცავ, თაყვანსა გცემ თამარ მეფეო...

ჰოი, თაყვანს გცემ, არა ვით მეფათ-მეფას ძლიერსა... არამედ ივერ ხალხისა ხსოვნას... შენსა სიწმინდეს კაცობრიულსა... ვით მადლიანის სვეტისა წყაროს ეროვნებისა მირვნად ღებულსა...

1 მაისი ს. გლახაშვილი.

სხვა და სხვა ამბავი

რად დაიღუპა ტიტანიკი?

კომისია, რომელიც დანიშნული იყო „ტიტანიკის“ დაღუპვის მიზეზთა გამოსაკვლევად, ასეთ დასკვნას დასდგომია: არც გემის უფროსი და არც მეზღვაურნი დამნაშავე არ არიან დაუდევრობაში. გემის უფროსი შესცდა, როდესაც ყინულის თაობაზე გააფრთხილეს, მან კი დიდი სიჩქარით გაუშვა გემი. დაღუპვის მიზეზი სწორედ ეს სიჩქარეა, თუმცა ტყუილია, ვითომც მას ჰსურვებოდა სისწრაფის რეკორდი აეღო. შემდეგ ჩამოთვლილია ყველა ის ნაკლი, რომელიც გემსა ჰქონია. მაშველი მოწყობილებანი ნაკლები ჰქონია და მსახურთაც კარგად არ სცოდნოდათ, მისი ხმარება. ყინულის მთისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ; მართალია მესამე კლასის მგზავრი ძლიერ ცოტა გადაურჩენიათ, მაგრამ ამაში მსახურთ ბრალი არ ედებათ, მათ შეძლების გვარად აუსრულებიათ თავისი მოვალეობა. კომისიას საჭიროდ დაუნახავს „ტიტანიკის“ მაგალითის მიხედვით გამირების გასქელება და საშველ მოწყობილების მგზავრთა მიხედვით და არა გემის წყალწყვის შეფარდებით. კომისიას განზრახვა აქვს მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია გემების აშენების პირობათა შესამუშავებლად, რათა მომავალში ამგვარი რამ აღარ განმეორდეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

სხვადასხვა

26 ივლისს.

ოსმალეთი.

სოფია. ხონთქარს პალატის დათხოვნის ირადესთვის ჯერ არ მოუწერია ხელი. დიდ ვეზირს პალატის თავმჯდომარისათვის შეუტყობინებია ამის შესახებ: ხვალ, ნაშუადღევის პირველ საათზე დანიშნული კრება ირადეს მოსასმენადაო. კომიტეტელთა ფრაქციას გიორის სამინისტროს რამენაირად დამარცხება გადაუწყვეტნია და დეპუტატები მეორე დღის ცხრა საათისთვის მოიწვია. კრებამ დეპუტატებმა გადასწყვიტეს, წინააღმდეგობა გაუწიონ დათხოვნას და ხალხსაც მანიფესტით მიმართონ, რომ ახალ არჩევნებს ხელი შეუშალოს.

სხდომა რომ გაუხსნია თავმჯდომარეს, უთქვამს: კონსტიტუცია საფრთხეში ჩავარდნილა და რაიმე ღონისძიება გამოიჩინეთო. კარებში ღონიერი დეპუტატები დამდგარან და მინისტრებს, თუ მოვიდოდნენ, არ შეუშვებდნენ დარბაზში. სამინისტროს მომხრე დეპუტატებმა განაცხადეს, ხომ დაგვითხოვეს, ნება აღარა გვაქვს სხდომისაო. მინისტრად ნაზიმფაშა ჯავიდმა მოთავრობის სამინისტროში შეკრებილ სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა პალატის დათხოვნის უკანონობას. ხონთქარს, სამინისტროსა და სენატსაც, სიტყვა ჯავიდმა, ალბანელ მოღალატეების შეჰწონებია. მხოლოდ პალატა იცავს კონსტიტუციას; ვით 1909 წელსაც, პალატა დაიცავს თავისუფლებას და კონსტიტუციას, თუმცა იარაღის ძალა დაუხვდეს. ჯავიდმა წინადადება გამოიტანა კაბინეტს და დაიშალნენ, სხდომა გადადეთო.

პალატის უმრავლესობამ ჯავიდის წინადადება მიიღო. დეპუტატები წავიდ-წამოვიდნენ.

პალატის თავმჯდომარე მაშინვე ხონთქართან წავიდა და ახალი სამინისტროს წევრთა სია მზადა ჰქონდა. უნდობლობის გამოცხადების ამბავი დიდ ვეზირსაც შეატყობინა. დიდი ვეზირი მაშინვე პალატაში წავიდა და დეპუტატები მოიწვია. კომიტეტის რამდენიმე დეპუტატი კარებში ჩადგა.

დიდმა ვეზირმა ოსმალეთის პალატას დათხოვნის ბძანება წაუკითხა. დარბაზში მყოფი დეპუტატები ბძანებას ტაშით შეხვდნენ. შემდეგ დიდმა ვეზირმა სენატში წაიკითხა იგივე ბრძანება. ამ დროს დარბაზში შევიდნენ მინისტრად ნამყოფნი თალაათი და ჯავიდი, მოვიდა აგრეთვე პალატის თავმჯდომარე, რომელსაც ხონთქარი ვერ ენახა.

კომიტეტლების ფრაქციას ჰსურს საიდუმლო თათბირი გაჰმართოს. კომიტეტი აცხადებს: სამინისტროს აქტიურ ბრძოლას დაუწყებო. ჯერჯერობით გამარჯვება კაბინეთსა ხვდა, მაგრამ მომავალი გვიჩვენებს, რამდენად ძლიერია ჯარის მომხრეობაო. კომიტეტს ხმა დაუგდია, ანდრიანოპოლის ოლქისა და სტამბოლის ჯარის ნახევარი ჩვენს მხარესააო. მაინც შეიძლება ითქვას, რომ მოყოყმანეებს მთავრობა გადაითრევს გამარჯვების მეოხებით. დილას, პალატის სხდომაზე, ოთხი აფიცერი მისულა და უთქვავს, მთელი ფლოტი მზადაა კონსტიტუციის დასაცავადაო.

სენატის განმარტების შემდეგ, პალატის თავმჯდომარე ხონთქართან იყო და აგულიანებდა, პალატის დათხოვნის ბძანებას ხელს ნუ მოაწერო. ხონთქარმა უპასუხა, ხელი მოვაწერე კიდევაც, დამშვიდდით და ჭკუით მოიქეცითო. დათხოვნის შემდეგ, ვეზირისა და სენატის თავმჯდომარის ბძანებით დარბაზს კლიტე დაადვეს და კარები დაჰკეტეს. გასაღები გადასცეს პრეზიდიუმის მდივანს, მდივანმა პალატის თავმჯდომარეს ხალილს წაუღო, ხალილმა უკან დაუბრუნა და უთხრა: „შეინახეთ, გასაღებს გაბარებთ პალატის თავმჯდომარეო“. ნადეპუტატრებს დარბაზში შესვლა აკრძალული აქვთ.

კომიტეტს მანიფესტი ჯერ არ გამოუცია, რადგან სათათბიროდ ვერ მოუხერხებია შეკრება. ზოგიერთი დეპუტატები სამშობლოში წავიდ-წამოვიდნენ. მთავრობა ძლიერა ზრუნავს, ქალაქში არეულობა არავინ გაბედოსო.

ჩერნოგორელები და ოსმალნი.

პრიზრენი. დიდსოფელთან ჩერნოგორელებსა და ოსმალებს დიდი ბრძოლა ჰქონდათ. ჩერნოგორელებმა რამდენიმე პოზიცია აიღეს და ოსმალებს რამდენიმე ასეული თოფი წაართვეს: ოსმალებმა იქითკენ ათი ტყვიის მფრქვეველი გაჰგზავნეს.

ცეტინიე. ჩერნოგორიამ ოსმალეთის მოთხოვნილებანი არ აასრულა ამის გამო ოსმალეთმა ყოველგვარი სადიპლომატიო ურთიერთობა შესწყვიტა ჩერნოგორიასთან. ოსმალეთის ელჩი ცეტინიედან 26 ივლისს მოდის.

კოვაჩი.

ბუდაპეშტი. სასამართლოს სიტყვით, დეპუტატი კოვაჩი, რომელმაც გრაფ ტისას რევოლვერი ესროლა, იმჟამად ანორმალ მდგომარეობაში ყოფილა.

ჯარის მოძრაობა.

მუკდენი. ჯამაგირის მიუცემლობის გამო ჯარში კიდევ ასტყდა არეულობა- ბაოდინფუდან აქეთკენ მეორე დივიზიის ნაწილი გამოგზავნეს. გუბერნატორების ბრძანებით ჯარისკაცებს ყაზარმებიდან არ უშვებენ. თეატრები და სკოლებიც დაკეტილია.

იაპონიის იმპერატორის დამარხვა.

ტოკიო. იმპერატორს 31 ივლისს დამარხვენ. ამის გამო დანაშაული ეპატიათ ფლოტის მეზღვაურებსა და ბევრს სხვასა.

ეპისკოპოსის მოწოდება.

ლვოვი. ლოვოველმა პოლონელთა ეპისკოპოსმა სუფრაღან ბანდურელმა გამოსცა მოწოდება პოლონელთადმი მიმართული. იგი მოუწოდებს, ფული შევაგროვოთ ხოლმშჩინის დასაცავად და ყოველგვარად ვებრძოლოთ რუსთა ეკლესიას, დაუპირდაპიროთ მას კათოლიკეთა ეკლესია, რუსთა სკოლებს პოლონელთა სკოლები, თუნდა ტყესა და ღრეებში მოგვიხდეს ხეტიალი.

სპარსეთი.

თეირანი. მინისტრებისა, სამღვდელოების წარმომადგენლებისა და ახალი რეჟიმის სხვა მოღვაწეთაგან შეადგინეს კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია ახალი მეჯლისის მოწვევა.

რუსეთი

გაზეთების დაჯარიმება.

პეტერბურგი. „პრავდის“ რედაქტორი, რომელსაც თავის გაზეთის 24 ივლისის ნომერში მოუთავსებია წერილი „ებრაელები და არჩევნები,“ დააპატიმრეს და სამი თვით ციხეში ჩასვეს.

„ნედელიას“ და „ვესტნიკ ზნანიის“ რედაქტორს 250 მანეთის ჯარიმა დაადეს პროვინციის ქრონიკის დაბეჭდვისათვის,

საარჩევნო კრება.

კიევი. მოხდა დიდი კრება საგუბერნიო საარჩევნო კომიტეტისა. დაესწრნენ ეკლესიისა, ერობის წარმომადგენელნი და გამოჩენილი მოღვაწენი. გადასწყვიტეს მემამულეთა წინასწარ ყრილობის დანიშნულება დ გაარჩიეს სხვა და სხვა სატეხნიკო საკითხები.

უცხოეთი

ავსტრალია და მუშათა მოძრაობა.

ინგლისის განათლებულ ახალ-შენებში, რომლებიც ხშირად სოციალურ კანონმდებლობის საქმეში მაგალითს აძლევენ ხოლმე კულტურულ მეტროპოლიას, რაც დრო გადის, უფრო აშკარად ირკვევა ერთგვარი მიმართულება კლასთა ბრძოლის გამწვავების მისანელებლად. მთავრობა ყოველი საშუალებით ცდილობს, რათა თავიდან აიცილოს მრეწველობას ისეთი ექსცესები, როგორც მუშების, ისე მრეწველების მხრივ, რომელნიც ხელოვნურ დაბრკოლებას იწვევენ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში და მით ხელს უშლიან მის ნორმალურ ზრდას.

შარშან ავსტრალიაში დიდი საყოველთაო გაფიცვა მოხდა, რომელმაც თვალსაჩინო ზარალი მიაყენა ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს.

ამის გამო კვისლენდის მთავრობამ ადგილობრივ პარლამენტში შეიტანა ახალი კანონპროექტი გაფიცვისა და ლოკაუტის თაობაზე, რომელიც შესამჩნევად ჰზ უდავს გაფიცვა—ლოკაუტის გამოცხადებას, კანონპროექტის აზრით, უნდა დაარსდეს მუდმივი სავალდებულო სამრეწველო სასამართლო. მუშებისა და მრეწველების კონფლიქტის დროს მოსამართლეს შეუძლიან შუამდგომლობა იკისროს, ან მოიწვიოს ორივე მხრივ წარმომადგენლები შეთანხმების ჩამოსაგდებად, გაფიცვისა და ლოკაუტის გამოცხადება არ შეიძლება მანამდი, სანამ მოსამართლე არ დაინახავს, რომ მისმა ცდამ, მოპირდაპირეთა შესარიგებლად, უნაყოფოდ ჩაიარა. ამის შემდეგ მუშები, თუ მრეწველები ვალდებული არიან მუშაობის შეწყვეტამდე ორი კვირით ადრე განაცხადონ გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო რაიმე დადგენილებას გამოიტანს, მოპირდაპირენი ვალდებულნი არიან დაემორჩილნენ მის განაჩენს. დადგენილების უარმყოფელნი, თუ ისინი რომელიმე კავშირს ან საზოგადოებას ეკუთვნიან, ჯარიმად იხდიან 500 გირვანქა სტერლინგს (სტერლინგი 9 მ. 50 კ.) კერძო მუშა კი, არა წევრი ტრედ-უნიონისა—10 გირვ. ის პირი, რომელიც სასამართლოს დადგენილების წინააღმდეგ, ხელს უწყობს ლოკაუტის ან გაფიცვის გამოცხადებას, ჯარიმად იხდის 100 გირვანქა სტერლინგს, ხოლო მათი წამქეზებელი კი 50 გირვანქას.

წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად მცირე ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის უახლოეს ნომერში ამ წერილს.

ჩვენ, წევრები წ. კ. საზოგადოების ხონის განყოფილებისა, ძრიელ აღგვაშფოთა იმ გარემოებამ, რომ წლიურ კრებ ზე გაზეთ „კოლხიდისათვის“ გაკიცხვა გამოუცხადებიათ. კრების ასეთი დადგენილების გამო პროტესტს ვაცხადებთ, ხოლო „კოლხიდის“ რედაქციას თანაგრძნობას უცხადებთ, ვწუხვართ რომ ასეთ უსამართლობას ადგილი მიეცა იმ საზოგადოების კრებაზე, რომელსაც ბ-ნი ალექსი ქიქინაძე თავმჯდომარეობდა; ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ გამგეობის არჩევნები მოხდა უკანონოდ. როდესაც რამდენიმე წევრი საზოგადოების მეორე ოთახში გავიდნენ ბარათებზე კანდიდატების ჩამოსაწერად, ამ დროს არა წევრმა სტ. ი. ქავჭანიძემ ადრევე გამზადებული სია წაუკითხა დანარჩენებს და „კარგიას“ ძახილით ჩააწერინეს ოქმში. მივაქცევთ თქვენს ყურადღებას ამას და ვიკითხავთ, ჰქონდა თუ არა წევრს ი. ქავჭანიძეს ამის უფლება, ან რად არ მოახდინა თავმჯდომარემ დახურული არჩევნები და მხოლოდ ბარათებით დაესახელებინა კანდიდატები. „კოლხიდის“ გაკიცხვის რეზოლიუცია ბ-ნმა ქავჭანიძემ წარადგინა.

ოქმი კრებაზე არ დაუწერიათ, მდივანმა კოკალიშვილმა სახლში წაიღო დასაწერად, მხოლოდ შემდეგ მოუწერიათ ხელი.

მაციკო ჭე[illegible]იძე, მიხეილ ქუთათელაძე, ერისტო ქავჭანიძე, გიორგი ბერიძე, ივანე სალარიძე, ივანე ქუთათელაძე, ვლადიმერ აბაშიძე, ანტონ ანჯაფარიძე, მიხეილ სანოძე, ისონ გრიგოლაშვილი, გიორგი კოხრეიძე, სევერიან ჩიქოვანი, ერისტო სანოძე, ევტიხი მებუკე, ალექსანდრე კაკაბაძე, მღ. კონსტანტინე ქუთათელაძე *).

---

*) ამათგან კრებას დასწრებია სამი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: **ჩქარი მატარ.** № 2, პლიცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: **ჩქარ. მატ.** № 11, პლიცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: **სააგარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: **საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: **ჩქარ. მატ.** პლიცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 407, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: **ჩქარ. მატ.** პლიცკ № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: **სააგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საag.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედესერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
4—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ. 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საზებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1078.113)

დაბა სამტრედია

ახალი აგურხანა.

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს **6X3X1½ ვერშოკ. ზომისას.**

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსებისა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ჭელიშვილი.**

(თ. 1338.17)



სახელოსნო და საწყობი

ძეგლებისა.

ძმ. აგლაძეების.
მიხეილის პროსპ. № 48.

ვღებულობ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბრადორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწვდომ ფასებში.

(0.—522—1[illegible])

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. [illegible]

ექიმი ე. [illegible] იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., [illegible] ქუჩა № 12.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა“	„	80 კ.
III „	„ნააზრევი“	„	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	„	85 კ.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება წიგნები:

ქართული ღრამატიკა შედგ. ანტონ I მიერ	ფ. 1 მ. 50 კ.
„ „ თ. ჟორდანიასი	„ 55 „
„ „ დ. ჩუბინაშვილისა	„ 25 „
„ „ ქუთათელაძისა	„ 40 „
„ „ ძ. ჯანაშვილისა	„ 50 „
„ „ დ. ყიფიანისა.	1 მ. 20 „
„ „ ს. ხუნდაძისა ყდ.	„ 60 „
სალიტერატურო ქართული, ს. ხუნდაძისა	„ 1 მ.
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონის ტყიფშიძისა	1 მ. 20 კ.
ქართული სიტყვიერ. ისტ., ა. ხახანაშვილისა	1 მ. 25 კ.
თეორია სიტყვიერებისა, მღ. მ. კელენჯერიძისა	„ 40 კ.
ქართული ქრისტომატია ანუ კრებული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა, მღ. მ. კელენჯერიძისა	ფ. 85
მოკლე ფორმალური ლოღიკა, იოსელიანისა	„ 15
ქართ. ზმნის კლასიფიკაცია, ქუთათელაძისა	„ 50
ბუნება ქართ. ენის ეტიმოლოგიურ შენობისა, წერილი I, მ. ყიფიანისა	„ 30
მისივე, ქარ. ზმნის ძირითად.	„ 10
ქართული ლექსიკონი, საბა სულხან-ორბელიანისა	„ 3
Опыть груз. русск. словаря, Багаева	„ 50
Русск. груз. словарь, Д. Чубинова	2 м. 40
Къ Иверійской фонетикѣ, Додаева	„ 40
Допол. свѣдѣнія о Чанск. яз. Кипшидзе	„ 45

ადრესი: Тифлисъ, О-ко распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.84)

ე. ა. ცატუროვის საწყობში

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

ფირმა არსებობს 1869 წლიდან

იყიდება

ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები

„ი ზ ა“,



გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა, ოთახში 100 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 100 და 1800 სანთლის სინათლიანი „ი ზ ა“-ს ფარნები ავტომატიურად ითება, უპატრუქოდ მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება:

200 სანთლის სინათლიანს 5 მისხალი.
1 00 „ „ 32 „
800 „ „ 80 „

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა. და ამიტომ ფარნის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდება.** **სრულის თავდებობით,** რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გ სანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში

საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა;** შე ვეთილ საქმ ს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ

(10 1396.2)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!

თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ყურადღება!

(წ.1131.216)

მშვენიერი გემოსი და სურნელო ნია. მომზადების საუკეთესო შუალების წყალობით დიდხანს უ ლებს გადატან-გადმოტანას და ამ ტომ ვურჩევთ საგარაკოდ და ზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენ

მიიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო

ხიზილალ

გირვანქა 1 მ. 60 კ.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბაბტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გოგელაურთან **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—89 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოს ბის ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა„